

ხელოვნებისა და მედიის კვლევების საერთაშორისო ჟიურნალი/- #6 (16) 2026
<https://doi.org/10.52340/ijaamr.2026.6.16.17>

სარკის მიღმა - მართლა შავბნელია მომავალი?

იოსიფ ასტრუკოვი

საკვანძო სიტყვები: შავი სარკე, სერიალი, პლატფორმები, საზოგადოება, ციფრული რეალობა.

სულ რამდენიმე თვის წინ შედგა სერიალ „შავი სარკის“ მორიგი - მეშვიდე სეზონის პრემიერა. „შავი სარკე“ (2011-) რადიკალურად განსხვავდება დღეს ონლაინ არსებული სერიალების უმრავლესობისგან. ძირითადი განსხვავებები ეხება როგორც ფორმატს, ისე შინაარსს. სერიალების დიდი ნაწილისგან განსხვავებით, „შავი სარკის“ თითოეული სერია დამოუკიდებელ ფილმს წარმოადგენს: ცალკე ისტორია, მსახიობები, თემა. სერიალები ერთმანეთთან დაკავშირებული არ არის და მიზნად არ ისახავს უფრო დიდი ამბის მოყოლას მთლიანად სერიალის ფარგლებში. დრამატურგიული თვალსაზრისით, სერიალი სამეცნიერო ფანტასტიკის ჟანრს მიეკუთვნება, თუმცა მასში ასახულ თემებს შეიძლება ვუწოდოთ „რეალობა სტრიქონებს შორის“, რაც წარმოადგენს მის კიდევ ერთ რადიკალურად განსხვავებულ და სახასიათო ატრიბუტს. აქ შექმნილია ჩვენი დღევანდელი მსგავსი რეალობა, ოღონდ ოდნავ უფრო პროგრესული, რომელშიც გამოყენებულია კონკრეტული ტექნოლოგია, მაგალითად, ნერვული ინტერფეისი (ჩიპი) ჩვენს ტვინში, ანუ უკვე მიმდინარე ექსპერიმენტები, რომლებითაც შესაძლებელია ჩვენი აღქმების (ვიზუალური და ხმოვანი) შენახვა და გადაცემა. ეს, ერთი შეხედვით, პატარა და უმნიშვნელო ტექნოლოგია შემდგომ სერიებში გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს ჩვენს ურთიერთობებში, საზოგადოებასა და მსოფლიოში. ბევრი სერია საერთო თემის გარშემო აგებული: მცირე ზომის ტექნოლოგია, რომელსაც შეუძლია სამყაროს თავდაყირა დაყენება. ავტორების მიერ შექმნილი ეს „რეალობა სტრიქონებს შორის“ ახლაც და მომავალშიც ბევრ კითხვას გააჩენს: სად ვართ? რა მომავალი გველის, როგორც საზოგადოებას? არსებობს თუ არა ტექნოლოგიური საზღვრები? რანი ვართ, როგორც ადამიანები? რა რეაქცია უნდა გვქონდეს ყოველივე ამაზე? და ბევრი სხვა. სათაური „შავი სარკე“ არის გამორთული ციფრული ეკრანის, ჩაბნელებული „სარკის“ მეტაფორა, რომელშიც ირეკლება ჩვენი სახეები. ვიყურებით რა ამ სარკეში, მთავარი კითხვა მდგომარეობს იმაში, თუ რას ვხედავთ.

ბოლო წლებში წარმოდგენილად გაიზარდა ტექნოლოგიების და საზოგადოებრივი დინამიკის მასშტაბები. მკვლევართა დიდი ნაწილი ყურადღებას ამახვილებს ტექნოლოგიებსა და მათ უნარზე, გავლენა იქონიონ ადამიანის ცხოვრებაზე: აღქმებზე, კომუნიკაციასა და, ზოგადად, ურთიერთობებზე. თავდაპირველად, დიგიტალიზაციის პროცესი აღქმული იყო, როგორც ტექნოლოგიური ერთიანობის უზრუნველყოფის ფაქტორი. დღეს კი ვხედავთ, რომ ტექნოლოგიები პარადოქსულად ორივე მიმართულებით მუშაობს. ის, რაც გვაერთიანებს, ასევე გვაცალკევებს ერ-

თმანეთისგან. სერიალებს უპრეცედენტოდ ბევრი ადამიანი უყურებს, მაგრამ ეს ხდება განმარტებით, ცალკე, მოწყობილობის ეკრანზე. მაყურებლების მასები ყოველ ღამეს იკრიბებიან ეკრანების წინ და ცალ-ცალკე ეცნობიან ერთი და იმავე შინაარსის მატარებელ პროდუქციას. ამ ფენომენის ფესვები ტელევიზიის ეპოქაში უნდა ვეძებოთ, თუმცა მაშინ ოჯახები ერთად უყურებდნენ გადაცემებს. დღეს სულ უფრო მეტი ადამიანი იყენებს პერსონალურ მოწყობილობებს, რა პროცესშიც ისინი ხშირად ერთსა და იმავე ოთახში სხედან, მაგრამ იზოლაციას აქ ყურსასმენები უზრუნველ-

ყოფენ: ასე ისინი ერთმანეთს არ აწუხებენ და ყველა საკუთარ ვირტუალურ განზომილებაში რჩება, ანუ ფიზიკურად ერთ ადგილას მყოფი ადამიანები ვირტუალურად არიან დაკავშირებული იმასთან, რაც ძალიან შორს მდებარეობს. არის თუ არა ტექნოლოგიები ამ გაუცხოების მთავარი მიზეზი? შევქმენით თუ არა უკვე ჩვენ, საზოგადოებამ ის ტექნოლოგიები, რომლებიც გვჭირდება? ეს კითხვები იმ გველს მოგვაგონებს, საკუთარ კუდს რომ კბენს, ანუ მიმართულება ერთია, მაგრამ არ ჩანს, სად იწყება პრობლემა და სად მთავრდება.

თანამედროვე საზოგადოებაში ამ ტენდენციების ფესვები ციფრულ ერამდე ბევრად ადრე შეიმჩნევა, კერძოდ კი, ისეთი ფსიქოლოგებისა და სოციოლოგების ნაშრომებში, როგორიცაა ერის ფრომი, ზიგმუნტ ბაუმანი და ბევრი სხვა. მათი აზრით, საზოგადოების კონკრეტული წევრების ინდივიდუალიზაცია და გაუცხოება, მცდარ აღქმებზე დამყარებული ინტიმური და მეგობრული ურთიერთობები ყალიბდება, როგორც ბაზარზე ორიენტირებული გუნდური მუშაობა, რომლის ერთადერთი მიზანია ეგოცენტრული ცხოვრების წესი, მუდმივად ღია ახალი, პოტენციაში უკეთესი პარტნიორების მოლოდინში.

„როცა კულტურაში დომინირებს მარკეტინგი, ხოლო მატერიალური წარმატება წარმოადგენს უზენაეს ღირებულებას, არაა გასაკვირი, რომ რომანტიკული ურთიერთობები გაცვლა-გამოცვლის იმავე წესს ექვემდებარება, რომლითაც იმართება სამომხმარებლო და შრომის ბაზარი“.¹

დღეს ვხედავთ ზემოთქმულის გამძაფრებულ შედეგს, რის მიზეზიცაა ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროს გადასვლა ციფრულზე, დაწყებული ყოველდღიური რეალიებით და კომუნიკაციით და დამთავრებული რომანტიკული და პოტენციურად შესაძლო ურთიერთობებით, სამსახურებრივი და საზოგადოებრივი სტრუქტურით და ჯანდაცვითაც კი.

სერიალი „შავი სარკე“ (2011-) სწორედ ამ კითხვებზე და ჩვენი საზოგადოების მიერ გაკეთებულ არჩევანზეა აგებული. მასში შესულია მაღალტექნოლოგიური მომავლის უამრავი შესაძლო ვარიანტის სიმულაცია, თანაც ყოველივე ეს ისეა გადმოცემული, თითქოს ეს შეიძლება ნებისმიერ მომენტში მოხდეს. სამეცნიერო ფანტასტიკის ჟანრში გადაწყვეტილი ეს სერიალი ქმნის რეალობას, რო-

მელსაც ვუწოდებთ „რეალობას სტრიქონებს შორის“.

„შავი სარკე“ რადიკალურად განსხვავდება დღეს სხვადასხვა მიმართულებით ონლაინ შეთავაზებული სერიალებისგან. მკვლევრები, როგორც წესი, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ ერთ კონკრეტულ სერიას: 2018 წლის „ბანდერსნეის“. მიზეზი კი მისი ინტერაქტიული ხასიათია. ამ მკაცრად ტექნოლოგიურ ასპექტს თუ არ ჩავთვლით, ამ სერიას აკლია „შავი სარკის“ ჩვეული სიძლიერე და პროვოკაციული ხასიათი. თავად სათაური „შავი სარკე“ უკავშირდება გამორთულ მონიტორს/ეკრანს, რომელშიც, როგორც შავ სარკეში, ირეკლება მაყურებელი.² სწორედ ამაშია სერიალის აზრი: ანახოს აუდიტორიას, სად მიექანება თანამედროვე ციფრული საზოგადოება და, ზოგადად, მსოფლიო. სერიალი სრულიად განსხვავებულია. ეს პირველ რიგში ეხება ფორმატს: სერიების მცირე რაოდენობა და ის ფაქტი, რომ არცერთი სიუჟეტი თუ პერსონაჟი არ მეორდება სხვა სერიასა თუ სეზონში. თითოეული სერია წარმოადგენს დამოუკიდებელ ფილმს თავისი ფაბულით, მოქმედების დროითა და ადგილით, განსხვავებული მსახიობებითა და რეჟისორებით, ასევე დაახლოებით ერთსაათიანი ხანგრძლივობით. პირველი და მეორე სეზონები მხოლოდ 3 და 4 სერიისგან შედგება. მაგრამ მას შემდეგ, რაც „ნეტფლიქსმა“ სერიალის პროდიუსერობა ჩაიბარა, სერიების რაოდენობა თითო სეზონში 6-მდე გაიზარდა, თუმცა მეხუთე სეზონი ისევ 3 სერიით იყო წარმოდგენილი. მეექვსე სეზონში შევიდა 5 სერია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სერიალს არ აქვს ერთიანი ფორმატი სერიების რაოდენობის მხრივაც კი. არც სტანდარტული ინტერვალები სეზონებს შორის არის დაცული.

მეშვიდე სეზონის გამოშვების მომენტისთვის სერიალი უკვე 10 წელზე მეტს ითვლიდა (2011–2025). მაყურებელს არ აქვს შესაძლებლობა, თვალყური ადევნოს და ელოდოს მომდევნო სეზონსა თუ სერიას. მას არც რომელიმე პერსონაჟის „ამოჩენება“ შეუძლია, რაც ხშირად ხდება სტანდარტული ფორმატის სერიალების შემთხვევაში. მკაცრად თუ ვიმსჯელებთ, „შავი სარკე“ უფრო ფილმია სერიალის ფორმატში, ვიდრე სერიალი, როგორც ასეთი. დრამატურგიული საფუძველი, რომელზეც აგებულია თითოეული სერია, ასევე გამოარჩევს „შავ სარკეს“ მასობრივი საშუალებე-

1 FROMM, *The Art*, 1956, p. 4.

2 “Black Mirror”, 2025.

ბის სხვა ნაწარმისგან. ჟანრობრივად ეს ცალსახად სამეცნიერო ფანტასტიკაა, თუმცა მოქმედება ხდება კონკრეტულ რეალობაში, რომელიც არაა ტიპური სამეცნიერო ფანტასტიკისთვის და რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ „რეალობა სტრიქონებს შორის“, როცა აუდიტორიას აქვს შეგრძნება, თითქოს ჩვენს ყოველდღიურ რეალობას ადევნებს თვალყურს, ოღონდ ერთი ნაბიჯით წინ.

„დიზნი პლასის“ პროდუქციისგან განსხვავებით (მაგალითად, „მანდალორელი“, 2019 -), რომელიც აგებულია „ვარსკვლავური ომების“ სამყაროდ აღებულ ფანტასტიკურ სიუჟეტებზე, „შავი სარკე“ მოიცავს სრულიად განსხვავებულ განზომილებებს (პლანეტები, უცხოპლანეტელები და ა.შ.) და არანაირი კავშირი არ აქვს დღევანდელობასთან. „შავი სარკე“ ეყრდნობა ჩვენთვის ნაცნობი ყოველდღიური ცხოვრების რეალობას, რასაც ემატება სპეციფიკური ელემენტები თუ უკიდურესად გაზვიადებული ტექნოლოგიური პოტენციალის გამოვლინებები. ასე იქმნება თითქმის დოკუმენტალური რეალობის აღქმა და ძალიან სპეციფიკური „რეალობა სტრიქონებს შორის“ აქ და დღეს და, იმავე დროს, შესაძლო მომავალში. თითოეული სერია თითქოს ეუბნება მაყურებელს: „შეხედე, აი, როგორი იქნება მსოფლიო რამდენიმე წელიწადში“. სწორედ ეს არის ავტორის „ორლესული ხმლის“ მსგავსი გზავნილის მთავარი სამიზნე: ახლო მომავალი ან, თუნდაც, აწმყო, საზოგადოება, მსოფლიო, ურთიერთობები, ტექნოლოგიები.

ციფრული პლატფორმები იძლევა მაყურებელთან ინტერაქტიული ურთიერთობებისა და გამოხმაურების მიღების შესაძლებლობას, რაც ბუნებრივად ასაზრდოებს ისეთ ექსპერიმენტებს, როგორიცაა ხსენებული სერია „ბანდერსნეჩი“ (2018). სათაური ნასესხებია ფანტასტიკური არსებიდან, რომელიც აღწერილია ლუის კეროლის 1872 წლის წიგნში „ელისი სარკის მიღმეთში“.³ ამ სერიის მსოფლიო პრემიერა „ნეტფლიქსზე“ შედგა 2018 წლის 28 დეკემბერს, საშობაო სეზონის ფარგლებში. მართალია, „ბანდერსნეჩი“ სერიალის განუყოფელი ნაწილია, მაგრამ იგი ასევე შეიძლება მივიჩნიოთ დამოუკიდებელ ფილმად. ინტერაქტივი მიღწეულია ეკრანის ქვედა ნაწილში შავი ფონის პერიოდულად გამოჩენის მეშვეობით, რომელზეც გამოსახულია მაყურებლისთვის ასარჩევად შეთავაზებული ორი ვარიანტი. ფილმი გრძელდება,

ასარჩევი ვარიანტები რამდენიმე წამი რჩება ეკრანზე და, თუკი არჩევანი საბოლოოდ არ გაკეთდა, სიუჟეტი გრძელდება მარცხნივ მითითებული ვარიანტის შესაბამისად. მაყურებელს ასევე შეუძლია, ნებისმიერ მომენტში დაუბრუნდეს ასარჩევ ვარიანტებს და მიიღოს სასურველი გადაწყვეტილება.

შეთავაზებული ვარიანტები საკმაოდ მრავალფეროვანია. არის, ერთი შეხედვით, ისეთი უმნიშვნელო დეტალები, როგორიცაა მთავარი გმირის საუბრის მენიუ თუ მუსიკა, რომელსაც იგი უსმენს, ასევე უფრო მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები: სად მუშაობს პერსონაჟი, ოფისში თუ სახლიდან, ვიზიტი თერაპევტთან, ნარკოტიკის, „ელესდი“ შეძენა და ვინ უნდა გადახტეს აივნიდან (მოიკლას თავი). თითოეული არჩევანი იწვევს განსხვავებულ მოვლენათა ჯაჭვს. ასევე მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, თუ რომელ პლატფორმაზე ვუყურებთ მოცემულ სერიას: ოფიციალური „ნეტფლიქსის“ არხით, სადაც ხსენებული ინტერაქტივია შესაძლებელი თუ არაოფიციალურ, არალეგალურ ვებგვერდზე, სადაც ინტერაქტივი გამოორიცხულია და ხდება სერიის „გადმოტვირთვა“ ერთიანი ისტორიის ან რამდენიმე ნაწილის სახით, რა დროსაც ყველა შესაძლო ვარიანტი თანმიმდევრობით არის ჩამოთვლილი. შედეგად, მაყურებელი, თუკი წინასწარ არ იცის მოცემული სერიის ფორმატი, იბნევა და ვერ ხვდება, კონკრეტულად რას უყურებს. ქვევით მოტანილია სიუჟეტის მონახაზი, რომელიც შეიმუშავებს სერიალის ფანატებმა და განათავსებს ინტერნეტ ფორუმზე reddit.com.⁴ ერთი შეხედვით, სიუჟეტური ხაზები საკმაოდ ჩახლართული და მრავალმიმართულებიანი მოგეჩვენებათ, მაგრამ სინამდვილეში ისინი თითქმის პარალელურად ვითარდება და ბევრი მათგანი ერთსა და იმავე საწყის წერტილს უბრუნდება. შესაბამისად, დამოკიდებულია მაყურებლის არჩევანზე და მის გადაწყვეტილებაზე, სცადოს სხვა ვარიანტები, სერიის ხანგრძლივობა განსხვავებულია. ზოგი მაყურებელი რამდენჯერმე უბრუნდება საწყის წერტილს, რათა სცადოს ყველა ვარიანტი. მაგრამ მათი რაოდენობაც შეზღუდულია: არსებობს 8 შესაძლო ვარიანტი. სერიის მთავარი იდეა გადაჯაჭვულია ფორმატის ინტერაქტიულ ხასიათთან, რასაც შედეგად მოაქვს ცხოვრებისეული არჩევანის მარადიული თემის, დროის, როგორც ფარდობითი

3 AHMED, „Bandersnatch“, 2025.

4 „Full Bandersnatch“, 2025.

და არაწრფივი კონსტრუქციის, ასევე პარალელური დროის განზომილებების, კაცობრიობაზე კონტროლის შესახებ შეთქმულების თეორიებისა და რეალობის, როგორც ექსპერიმენტის, უცნაური კომბინაცია. ყველაფერი დამოკიდებულია მაყურებლის მიერ არჩეულ სიუჟეტურ ხაზზე და იმაზე, თუ რამდენჯერ უბრუნდება იგი საწყის წერტილს. დრამატურგიის თვალსაზრისით, მიმდინარეობს ერთგვარი თამაში პლატფორმასთან: მთავარი პერსონაჟი სტეფანი 1984 წელს წარუმატებლად ცდილობს „ბანდერსნეჩის“ ვიდეოთამაშის შექმნას იმავე სახელწოდების წიგნის საფუძველზე. თამაში ინტერაქტიულია: მონიტორზე ჩანს, თუ როგორ აკონტროლებენ სტეფანს „ნეტფლიქსის“ მეშვეობით. მან არ იცის, თუ რა არის ინტერაქტიული პლატფორმა ან როგორ აკონტროლებენ მას. და, რა თქმა უნდა, იგი მიდის თავის ფსიქონალიტიკოსთან. ერთ-ერთ სიუჟეტურ ხაზში ვხედავთ გადასაღებ მოედანს და მსახიობს, რომელსაც არ შეუძლია „როლიდან გამოსვლა“. პერსონაჟის სულიერი არასტაბილურობა საფუძვლად უდევს შიზოფრენიულ „თამაშს“, რომლის ფარგლებშიც მაყურებელს „აბითურებენ“ ვარიანტების არჩევისას, სხვადასხვა თანმდევი სიუჟეტური ხაზის მეშვეობით.

ისტორიულად ასეთი ინტერაქტიული ექსპერიმენტები არ არის სიახლე. მათ ჯერ კიდევ 1960-იან წლებში ატარებდნენ.⁵ რა თქმა უნდა, ყველა ეპოქას თავისი ტექნოლოგიური შესაძლებლობები აქვს და დღეს მიღწეული ინტერაქტივიც კი საკმაოდ პირობითია. კინემატოგრაფში აბსოლუტური ინტერაქტივი პრაქტიკულად შეუძლებელია. მთავარი პრობლემა მდგომარეობს თითოეული შესაძლო მიმართულებისა და დასასრულის გადაღებასა და მონტაჟში, რაც ზღუდავს ვარიანტების რაოდენობას მიუხედავად იმისა, თუ სად ვუყურებთ მოცემულ სერიას, ციფრულ პლატფორმაზე თუ კინოთეატრში. ხელოვნური ინტელექტის გარშემო ატეხილ ისტერიას მოჰყვება საფუძვლიანი ვარაუდი, რომ კომპიუტერულ თამაშებში არსებული ინტერაქტივი უკვე შესაძლებელია ან მალე იქნება შესაძლებელი რეალობაში. აღსანიშნავია, რომ კომპიუტერული თამაშების ინტერაქტივი არაა აბსოლუტური, არამედ შეზღუდულია პროგრამისტების მიერ შექმნილი გარემოთი, პერსონაჟები-

თა და მოქმედების ვარიანტებით, თუმცა, რა თქმა უნდა, ის ბევრად უფრო რეალურია, ვიდრე რამდენიმე სიუჟეტური ხაზი ფილმში. ამ სპეკულაციების ან, უფრო სწორად, ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებული ფუჭი მოლოდინების თანახმად, შესაძლებელი იქნება რეალურ დროში ფილმების შექმნა.

აქ კი ვხედავთ რამდენიმე პრობლემას. პირველ რიგში, ესაა ტექნოლოგიური პრობლემა: გამოთვლითი სიძლიერე. რაოდენ უსაზღვროდ არ უნდა მოგვეჩვენოს კომპიუტერული ტექნოლოგიების შესაძლებლობები, ისინი მაინც საკმაოდ შეზღუდულია, სულ მცირე, როცა ხსენებული ტიპის ექსპერიმენტებზეა ლაპარაკი. მეორე ტექნოლოგიური პრობლემა მდგომარეობს სიმულაციაში: ხელოვნური ინტელექტის მიერ შექმნილი, იგი არსებითად წარმოადგენს ახალი თაობის ანიმაციას, რისთვისაც გამოიყენება ვიზუალური არქივები და სხვ., ანუ ფირზე აღბეჭდილი რეალური სურათისგან ძალიან განსხვავებული მასალა. მაყურებლის თვალის მოტყუება ძალიან რთულია, განსაკუთრებით დიდ ეკრანზე. ხელოვნური ინტელექტის სიმულაციებს შეცდომაში შეჰყავს აუდიტორია პატარა ზომის მობილურ და შედარებით დიდ კომპიუტერულ ეკრანებზე. რადგან მასები პატარა ეკრანებს ამჯობინებენ, განსაკუთრებით ახალგაზრდები, ახლო მომავალში ასეთი სიმულაციები ბევრ პრობლემას შექმნის პროპაგანდისა და მანიპულაციის მხრივ. როცა საქმე ეხება პროფესიულ კინემატოგრაფს, პლატფორმებისა და სერიალების ჩათვლით, აქ ნაკლებად სავარაუდოა, რომ ახლო მომავალში ან საერთოდ ოდესმე ვიხილოთ ამ ტიპის პროდუქცია. დღეს ტექნოლოგიების წინაშე დგას ენერგიასთან დაკავშირებული პრობლემები: გამოთვლითი შესაძლებლობების გაზრდის მიზნით დიდი კორპორაციები გადავიდნენ ბირთვულ ენერგიაზე.⁶ აქ არ განვიხილავთ პრობლემებს, რომლებიც დაკავშირებული არაა ტექნოლოგიებთან და კიდევ უფრო ამძაფრებს გაურკვევლობას: მაგალითად, მაყურებლის სიზარმაცე, რადგან ის მომხმარებელია, განსაკუთრებით თანამედროვენი. ეკრანის წინ მოკალათებულ მომხმარებელს სურს არა აქტიურობა, ძალისხმევის გამოჩენა, არამედ მხოლოდ მზა პროდუქტის მიღება, რომელიც არანაირ დისკომფორტს არ იწვევს. აუდიტორიის დიდი ნაწილი

5 KINO-AUTOMAT (1967), directed by Alfred Radok; ასევე: ASTRUKOV, Stage and Screen, 2018; FORMAN, Turnaround, 1993.

6 “AI Goes”, 2024.

დღეს იყენებს პლატფორმებს და ეკრანებს ვირტუალური გაქცევისთვის, დასვენებისთვის, ყველაფრისგან მოწყვეტისთვის და არა საკუთარ თავზე, ცხოვრებაზე, პრობლემებზე და გარე სამყაროზე „ზედმეტი ფიქრისთვის“. მართალია, გარკვეულ მომენტში ტექნოლოგიები მასების პროფილირების წყალობით იძლევა რეალურ დროში გარკვეული ინტერაქტიული ნამუშევრების შექმნის შესაძლებლობას, მაგრამ ძალიან საეჭვოა, რომ ამ ტიპის წინსვლა ვიხილოთ კინოში თუ სატელევიზიო სერიალებში.

სწორედ ამ თემაზეა აგებული „შავი სარკის“ მეექვსე სეზონის პირველი სერია, „საშინელი ჯოანი“.⁷ სიუჟეტის დასაწყისში ასახულია ჯოანი და მისი მდარე ყოველდღიური ცხოვრება. იგი დილით დგება, პარტნიორთან ერთად მიირთმევს საუზმეს, მანქანით მიდის სამსახურში, დაკავებულია ჩვეულებრივ სამუშაო საქმიანობით IT კორპორაციაში, შემდეგ ვხედავთ მის ყოფილ საყვარელს, ვიზიტს თერაპევტთან, ყოფილ საყვარელთან ერთად გატარებულ დროს ბარში და შინ დაბრუნებას. მაგრამ შინ, ახლანდელ პარტნიორთან ერთად სატელევიზიო გადაცემის ყურებისას ისინი აწყდებიან „უახლეს პროდუქციას“ ჯოანის ცხოვრებას. მისი დღე ახლა გამოსახულია ეკრანზე და გაცოცხლებულია მსახიობების მიერ: სალმა ჰაიეკი ასრულებს თავად ჯოანის როლს.

კომუნიკაციების ერაში ტორები სწრაფად ვრცელდება. ჯოანის კოლეგები და მეგობრები პრემიერას მობილური ტელეფონის ეკრანზე უყურებენ ყველგან, სადაც არ უნდა იყვნენ, და კომენტარებს აკეთებენ ჯოანის ქცევასა თუ სიტყვებზე. აშკარაა, რომ ჯოანი ჯოჯოხეთურ მორევში მოხვდა, რომლისგან თავის დაღწევა შეუძლებელია. ყოველ საღამოს სუპერკომპიუტერი ქმნის მისი დღის ამსახველ მორიგ სერიას, მათ შორის საზოგადოებისთვის სხვაგვარად უცნობ დეტალებს მისი პირადი ცხოვრებიდან: კომენტარებს, ფიქრებს, მხოლოდ ახლო მეგობრებისა თუ თერაპევტისთვის გაზიარებულ საიდუმლოებებს – ეგრეთწოდებული რეალითი შოუს მსგავსად, ოღონდ სრულიად ავთენტურსა და რეალურ დროში შექმნილს. გადაცემა სწრაფად ხდება პოპულარული. თავდაპირველ შოკს (საერთოდ როგორ შეიძლება ასეთი რამ?!) მოჰყვება უკონტროლო მოვლენათა რიგი და ჯოანის ცხოვრების ნგრევის დასაწყისი. ნელ-ნელა იგი აცნობიერებს, რომ ის, რაც ხდება, სრუ-

ლიად შესაძლებელია როგორც ტექნოლოგიური, ისე იურიდიული თვალსაზრისით: ახალი დებულებები და ხელშეკრულებები, რომლებსაც მან გაუცნობიერებლად ხელი მოაწერა, უკრძალავენ მას საჩივრის შეტანას ამ სიგიჟის დასასრულებლად. მართლაც, ვინ კითხულობს კონტრაქტებს, თუნდაც მობილური კავშირის თუ ინტერნეტის პროვაიდერთან? ვერავინ ვერ იარსებებს სამოგადოებაში, თუკი მისი პირადი და შინაგანი ცხოვრება ყველას თვალწინაა გადაშლილი. გარდა ამისა, ჯოანი განზრახ არის წარმოჩენილი ბევრად უფრო არასახარბიელო ტრილში, ვიდრე ეს სინამდვილეშია. სერიის ბოლოს ვხედავთ, რომ კარგი, მშვიდობიანი ადამიანი არაა საინტერესო აუდიტორიისთვის, რაც ჩვენთვის დიდი ხანია ცნობილია კარგად დადგმული რეალითი ფორმატის პროგრამებიდან, რომელთა მიზანია აუდიტორიის „ჩათრევა“. სერიალში არ არის დეტალურად ახსნილი, თუ რა ტიპის ტექნოლოგიით ხდება შერჩეული ადამიანის პირადი ცხოვრების თვალყურის დევნა და დაფიქსირება. ჯოანის შემთხვევაში ნახსენებია მხოლოდ ის, რომ ჩვენ გვითვალთვალებენ სხვადასხვაგვარი ხელსაწყოების, განსაკუთრებით ტკვიანი ტელეფონების მეშვეობით. მობილური ხელსაწყოების დახმარებით თვალყურის დევნა დიდი ხნის წინ დადასტურებული ფაქტია, თუმცა სერიალში ნაჩვენებ უკიდურესობამდე საქმე ჯერ არ მისულა. სწორედ ეს განასხვავებს „შავი სარკის“ ამ სერიას, რომელშიც შექმნილია როგორც დღევანდლობის, ისე მომავლის სამეცნიერო-ფანტასტიკური „რეალობა სტრიქონებს შორის“, უკიდურესობამდე მიყვანილი ტექნოლოგიური რეალობა, რომელშიც საკუთარ თავს ვხედავთ.

სერიის ბოლოსკენ ვხედავთ ჯოანის მდგომარეობის მკვეთრ გაუარესებას, რომელიც კულმინაციას აღწევს სალმა ჰაიეკის პერსონაჟის პროვოცირებაში. მას ჯერ კიდევ აქვს ამ სიგიჟის დასრულების იმედი, თუმცა ხსენებული კონტრაქტები, რომლებსაც ხელი მოაწერა შოუს მწარმოებელ კომპანიასთან, არ აძლევს მას ამის საშუალებას. გარდა ამისა, ჯოანი ჩართულია რეალითის ფორმატში. ასე რომ, ყველა, ვისთანაც მას აქვს კონტაქტი, ეკრანზე ჩნდება. სერია კულმინაციას აღწევს, როცა სალმა ჰაიეკის პერსონაჟი ჯოანთან ერთად, შურს იძიებს შოუს მწარმოებელ კომპანიასთან (შესაძლო ალუზია „ნეტფლიქსზე“). წყვილი იპარება კორპორაციის შენობაში და დიდი დავიდა-

7 “Joan Is Awful.” Black Mirror. Season 6, Episode 1. Netflix, 2023.

რაბისა და შეხლა-შემოხლის შემდეგ აღმოჩნდება შოუს „ავტორის“ პირისპირ. ეს არის სუპერკომპიუტერი და ოპერატორი, რომელიც უმხელს მათ, რომ მათი შეხვედრაც კი არის არა რეალობა, არამედ სიმულაციის ერთ-ერთი შრე. ფინალური სცენა რამდენიმე დონეზე ვითარდება. პირველ რიგში, სუპერკომპიუტერის განადგურება და რეალური ადამიანებისა და მსახიობების რეალური სახეების გაცხადება, რომელთა ცხოვრებაც გამოყენებული იყო რეალითი შოუში. ტიტრების გამოჩენისთანავე იწყება ფინალური სცენის შემდგომი შრეები: რეალური პიროვნების ახალი ცხოვრება, რომელსაც ფეხზე მიმაგრებული აქვს თვალყურის დევნის მოწყობილობა. კიდევ ერთი დასკვნითი დეტალია მსახიობი, რომელიც საღმა ჰაიეკის ნიღბით მონაწილეობდა შოუში და ახლა ასევე ფეხზე აქვს მიმაგრებული თვალყურის დევნის მოწყობილობა. ასეთია სერიის ღია ფინალი, რომელიც უბიძგებს აუდიტორიას, დაუსვას საკუთარ თავს კითხვა: ეს რეალობაა თუ რეალითი „თამაშის“ გაგრძელება?

სხვადასხვა დონეზე სერიების ამ სახის დრამატურგიული სტრუქტურა ტიპურია „შავი სარკისთვის“. ყოველი სერიის დასრულებისას აუდიტორიას უჩნდება ბევრი კითხვა, რომლებიც სინამდვილეში სწორედ მათზეა მიმართული. ეს „რეალობა სტრიქონებს შორის“ ასრულებს გამადიდებელი შუშის როლს, რომლის მეშვეობითაც აკვირდებით თქვენს ჩვენებს, ყოველდღიურ რუტინას, ქცევასა და ფიქრებს: საიტკენ მიემართება მსოფლიო? იმის გათვალისწინებით, რომ ციფრულმა ერამ უკვე შეზღუდა პირადი თავისუფლება და არჩევანი, გაამძაფრა მართობა და შეასუსტა სინამდვილის შეგრძნება, რა არის ზოგადად რეალობა? ბეწოლა პიროვნებაზე და ტექნოლოგიების ზღვარი, თავდაპირველად პროგრესის, ხოლო შემდეგ კონტროლის თვალსაზრისით, არსებითად მნიშვნელოვანია სერიალისთვის და ხაზგასმულია კიდევ ბევრ სერიაში. მოთხრობილ ამბებში ხშირია კრიმინალური კომპონენტი, რაც, აუდიტორიის დაინტერესების გარდა, სვამს კითხვას: რამდენის ატანა შეუძლია ადამიანს? სად გადის ზღვარი, რომლის შემდეგ იწყება ძალადობა და სიგიჟე? რამდენად შეუძლია ადამიანს ადამიანურობის შენარჩუნება? დღევანდელი ტექნოლოგიების გამოყენების უკიდურესობამდე მიყვანით განსხვავებულ პარადიგმაში აღმოვჩნდით, სრულიად ახალი წესებისა და ურთიერთობების სამყაროში. სამ სერიაში

(პირველი სეზონის მე-3 სერია „შენი მთლიანი ისტორია“, მეორე სეზონის მე-4 სერია „თეთრი შობა“ და მეოთხე სეზონის მე-2 სერია „არკანგელი“) გამოკვლეულია ჩვენი შეგრძნებების (მხედველობა და სმენა) ჩაწერის იდეა, რომელიც ფოტოგრაფიითა და სახვითი ხელოვნებით დაკავებულ ყველა ადამიანს, დიდი ალბათობით, ოდესმე წარმოუდგენია: ფიზიკური თვალეებით გამოსახულების აღბეჭდვა და შენახვა. მაგრამ სად შეიძლება ამ, ერთი შეხედვით, უწყინარმა იდეამ მიგვიყვანოს? სერიაში „შენი მთლიანი ისტორია“ ეს იდეა წარმოდგენილია ერთგვარი მოწყობილობის, ადამიანის ტვინში ჩანერგილი ჩიპის სახით. ბოლო წლებში ასეთი სამეცნიერო ფანტასტიკური შეთქმულების თეორია ძალიან პოპულარული გახდა, ხოლო ილონ მასკის კომპანიის, „ნიურალინკის“ ექსპერიმენტების შედეგად საკმაოდ რეალურიც კი.⁸

ხსენებულ სერიაში ყველას შეუძლია თავისი ცხოვრების ნებისმიერი მომენტის გადახვევა და ყურება, რისთვისაც გამოიყენება მომცრო დისტანციური პულტი. ასევე შესაძლებელია, ჩანაწერების გაშვება დიდ სატელევიზიო ეკრანზე და სხვებისთვის მისი ჩვენება. ვიზუალიზაცია ხდება თვალეებში ერთგვარი ჰიპნოზური ეფექტის წყალობით, როცა პერსონაჟი უბრუნდება და უყურებს წარსულში მომხდარს. მაგრამ რა მოხდება, თუ ეჭვიანი კაცი მოინდომებს მეგობარი გოგონას წარსულში ჩახედვას? მოუნდება თუ არა ადამიანს პირადი ცხოვრების გაზიარება, თუნდაც უახლოეს ოჯახის წევრებისა თუ მეგობრებისთვის? ნიშნავს თუ არა უარი, რომ მოცემული პირი ტყუის? ამ ტიპის ტექნოლოგიები თითქმის სრულად ზღუდავს პირად სივრცეს: რამის ჩვენებაზე უარის თქმა ავტომატურად ნიშნავს, რომ დამნაშავე ხარ. აუცილებელი ხდება ნდობის, როგორც ნებისმიერი ურთიერთობის საფუძვლის, მუდმივად განმტკიცება. და რა მოხდება, თუკი დავინახავთ იმას, რისიც გვეშინია ან გავურბივართ? შევძლებთ კი ამის ატანას? ყველას აქვს ღრმად დამალული საიდუმლო, რომლის გამხელაც ქმნის ცხოვრების სრულიად წარმოუდგენელ პარადიგმას და სამყაროს, რომლის რაციონალიზაცია ჩვენს ცნობიერებას ამ ეტაპზე არ ძალუძს. ხდება საზოგადოების დეზინტეგრაცია. ამ სერიაში ეჭვიანობა მანიაკალურ დონემდეა აყვანილი და ანგრევს ურთიერთობებს. ლალატის ფაქტი დასტურდება. მაგრამ როგორ აიტანს ეს წყვილი დიდ ეკრანზე გაშვებულ ამ სცენებს წარსულიდან?

8 „Пред БНТ“, 2025.

ფინალურ სცენაში პერსონაჟი სამართლებლის მეშვეობით მამოხისტურად იძრობს ჩიპს თავიდან. სიგიჟე ხშირი მოვლენაა „შავი სარკის“ სერიების ფინალურ სცენებში, რომლებიც შესაძლო ტექნოლოგიური მომავლის შესახებ მოგვითხრობენ. მათში ასევე გამოკვლეულია ტექნოლოგიების მიერ პიროვნების გაუცხოების თემა. ერთ-ერთ სცენაში წყვილი სექსის პროცესში უყურებს ბევრად უფრო სასიამოვნო გამოცდილების ამსახველ კადრებს საკუთარი წარსულიდან.

სერიაში „თეთრი შობა“ პიროვნების აღქმების კონტროლის იდეა, როცა ადამიანებს რეალურ ცხოვრებაში შეუძლიათ ერთმანეთის „დაბლოკვა“, კიდევ უფრო ღრმად შესწავლილი. სოციალური ქსელების მსგავსად, როცა ადამიანი „იბლოკება“, თქვენ მისგან თუ მის შესახებ არავითარი ვიზუალური თუ ხმოვანი შეტყობინება არ მოგდით – იგი იქცევა ოდენ ბუნდოვან სილუეტად, რომლის ლაპარაკი თქვენთვის გაუგებარია. ამისთვის გამოიყენება პატარა დისტანციური პულტი, ხოლო ტვინში ჩანერგილი ჩიპი ინახავს მოცემული პიროვნების მთელ ცნობიერებას. ქირურგიულად ამოღებული და მომცრო მოწყობილობაში შენახული ასეთი ჩიპი რეალობაში ახდენს მის ვირტუალურ კლონირებას. განხილულ სერიაში ეს იდეა გამოყენებულია საკუთარი თავის კლონების შესაქმნელად და მონების სახით მათ გამოსაყენებლად. „თეთრი შობა“ არის ერთ-ერთი ყველაზე სიმბოლური სერიალში. მასში ერთმანეთთანაა შერწყმული რამდენიმე ამბავი, ხოლო მაყურებელს ბოლოს უჩნდება სიმწრის განცდა და უამრავი კითხვა. სიუჟეტი მოიცავს ორ კრიმინალურ ამბავს. ისინი ერთმანეთთანაა შერწყმული და ტრიალებენ მთავარი გმირების ვირტუალური კლონების გარშემო. რეალურ ცხოვრებაში ვინმეს დაბლოკვის იდეა, რომელიც თავისთავად საკმაოდ რთული მისაღებია, არსებითად ცვლის ჩვენს ურთიერთობებს. ადამიანებს შორის დაძაბულობის განხილვისა და დაძლევის შეუძლებლობა, თუნდაც კონფლიქტის ხარჯზე, ერთ-ერთ პერსონაჟში იწვევს მანიაკალურ ქცევასა და სიგიჟეს. იგი თვლის, რომ ჰყავს ბავშვი ყოფილ მეგობარ გოგონასთან, რომელიც მას „ბლოკავს“ და წყვეტს ურთიერთობას. მას არც ბავშვის ნახვის უფლება აქვს. ქალის გარდაცვალების შემდეგ, ბლოკი იხსნება და ცხადი ხდება, რომ მას ბავშვი სხვისგან შეეძინა. ეს სიმართლე კაცს აგიჟებს და აიძულებს, უნებლიეთ ჩაიდინოს დანაშაულები. ამასობაში მეორე პერსონაჟი, რომელიც წვრთნის კლონებს და მფლობელთა მო-

ნებად აქცევს, აღწევს საპროცესო გარიგებას თავისი დანაშაულისთვის. მას სასჯელს უმსუბუქებენ. ციხეში წასვლის ნაცვლად ხდება მისი ტოტალური „დაბლოკვა“: მას არ შეუძლია, იქონიოს ურთიერთობა ვინმესთან. მისთვის მსოფლიო იქცევა ბუნდოვანი სილუეტების ნაკრებად, რომლებთანაც არანაირი ურთიერთობის უფლება არ აქვს, ხოლო მათთვის ეს პერსონაჟი იქცევა საშიშ წითელ სილუეტად. ეს „ციფრული დაღდასმა“, ანუ, სლენგს თუ მოვიშველიებთ, „გაუქმების კულტურა“ დიდი ხანია, რაც რეალობად იქცა სოციალურ მედიაში. ბევრისთვის ვირტუალური ონლაინ ცხოვრება ისევე მნიშვნელოვანია, როგორც რეალური ყოფა. ეს განსაკუთრებით ეხება ახალგაზრდებს, რომლებიც კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ინტერნეტში მომხდარ ამბებს. დაბლოკვა მათთვის წარმოადგენს უაღრესად ემოციურ აქტს, რომელსაც ისინი ძალიან სერიოზულად აღიქვამენ, მაგრამ რეალურ ცხოვრებაში ამ პრობლემის გადაჭრის შეუძლებლობა სრულიად სხვა სახის სიტუაციას წარმოადგენს და მისი შედეგების წარმოდგენაც კი რთულია. რეალურ სამყაროში ადამიანები ერთმანეთს ხვდებიან და ურთიერთობენ ონლაინ დაბლოკვის შემდეგაც კი. საზოგადოებაში დამკვიდრებულია ქცევის წესები, რომლებიც დაცულია კონფლიქტის შემთხვევაშიც კი. ხსენებული სიტუაცია და ტექნოლოგიები, რომლებითაც ხდება პიროვნების სრული გარიყვა, გამოიწვევს საზოგადოებრივი ქცევისა და ურთიერთობების სრულიად ახლებურ განზომილებებს... და, დიდი ალბათობით, სიგიჟესაც.

სერიაში „არკანგელი“ გამოკვლეულია ბავშვის ტვინში ჩიპის იმპლანტაციის სავარაუდო შედეგები. ეს მოწყობილობა მშობლებს აძლევს შესაძლებლობას, უწყვეტ რეჟიმში გააკონტროლონ ყველაფერი, რასაც ბავშვი ხედავს, ესმის და განიცდის. ზრდასთან ერთად, სულ უფრო მეტ პირად სივრცეს ვითხოვთ. განა აიტანს ვინმე საკუთარი სიტყვებისა თუ ქმედებების გადაღებას და თვალთვალს? გაუძლებენ კი მშობლები ყველაფრის ყურებას, რაც მათ შვილებს ემართებათ? შეიცვლება თუ არა მათ გარშემო მყოფთა ქცევა, თუკი ისინი გააცნობიერებენ, რომ „ცოცხალი კამერის“ წინ იმყოფებიან?

ვირტუალური ცხოვრების იდეა, როგორც სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ ან პარალელური რეალობა, ხშირად წარმოადგენს სერიალის მთავარ თემას. „სან-ჯუნიპეროში“ (მესამე სეზონის მე-4 სერია) ახალგაზრდა გოგონა გადაწყვეტს, სამუ-

დამოდ „გადასახლდეს“ ვირტუალურ სიმულაცი-
აში, სადაც იგი, თითქოს თამაშში, ყოველ სალა-
მოს ხვდება კონკრეტულ ქალს და უყვარდება ის.
სინამდვილეში კი იგი მოხუცთა თავშესაფარში
მცხოვრები ხანშიშესული ქალია. ასე რომ, წყვი-
ლი გადაწყვეტს, ამ სიმულაციურ-ვირტუალურ სა-
მოთხეში გაატაროს დარჩენილი დღეები. მაგრამ
რამდენად რეალურია ეს რეალობა? ეს კითხვა,
რომელიც ცენტრალურია სამეცნიერო ფანტას-
ტიკის ჟანრში, ისმის ბევრ სერიაში: არსებობს კი
ობიექტური რეალობა და საკმარისია კი ჩვენთვის
ის, რაც ჩვენს ტვინში ხდება? ამ სერიალში ეს ყო-
ველთვის ციფრული რეალობაა. კომპიუტერული
ჩიპის მიერ დომინირებული ბოლო ათწლეულე-
ბის თანამედროვეობა გვთავაზობს საზღვრის წაშ-
ლას ვირტუალურსა და რეალურს შორის, ხოლო
ხელოვნური ინტელექტის დღესდღეობით ძალი-
ან აქტუალური პრობლემა, რომელსაც ხშირად
ასახელებენ კაცობრიობის წინაშე მდგარ მთა-
ვარ საფრთხედ, სერიალში ხშირადაა შერწყმული
ფიზიკურ რეალობასთან. სერიაში „მალე დავბ-
რუნდები“ (მეორე სეზონი, პირველი სერია) ქალი
კარგავს მეგობარ ბიჭს ავტოკატასტროფაში. მომ-
სახურების კომპანია ნუგეშის სახით სთავაზობს
მას გარდაცვლილთან „დაკავშირებას“, ჩატ ბოტის
მსგავსად მამაკაცის პიროვნების სიმულაციის, მი-
სი ვირტუალური კლონის შექმნის გზით, რომლის
„სწავლება და წვრთნა“ სოციალურ ქსელებში რე-
ალური პროტოტიპის აქტიურობას ეფუძნება. მცი-
რე ყოყმანის შემდეგ ქალი თანხმდება. სიმულაცია
გასაუბრებიდან „რეალურ“ სატელეფონო კავშირ-
ში გადადის. კაცის ხმა იმდენად რეალურია, რომ
ქალს ახლა გარდაცვლილის იდენტური, რეალუ-
რი ზომის რობოტს სთავაზობენ. ქალი თანხმდება.
მაგრამ „ცოცხალი“, თუნდაც გასაოცარი და, ერთი
შეხედვით, ძალიან რეალური, ურთიერთობა მა-
ლევე იწვევს იმედგაცრუებას. რობოტს არ შეუძ-
ლია საყვარელი ადამიანის წასვლით გამოწვეული
სიცარიელის შევსება. სიმულაცია მისი პიროვნე-
ბის მხოლოდ ფერმკრთალი იმიტაციაა. რობოტს
არ აქვს ხასიათი თუ პირადი მოსაზრება, არ შე-
უძლია დამოუკიდებლად აზროვნება თუ მოქცევა.
მას მხოლოდ სავარაუდო ქმედებების სიმულაცია
და იმიტაცია შეუძლია, რაც ეფუძნება გარდაც-
ვლილის შესახებ მოპოვებულ ინფორმაციას. შე-
დეგად, ქალის მწუხარება და ბრაზი სულ უფრო
მძაფრდება და უბიძგებს მას, უბრძანოს რობოტს
საკუთარი თავის განადგურება. მაგრამ, რა თქმა
უნდა, ეს ბრძანება არაა გაწერილი ალგორითმში.

სცენა კულმინაციას აღწევს, როცა ქალი ხვდება,
რომ ორსულადაა საყვარელ კაცთან, ამ უკანასკ-
ნელის გარდაცვალების წინა ღამეს, სექსუალური
კონტაქტის შედეგად. სერიის ფინალში ვხედავთ
გამრდილ ბავშვს, რომელიც თავის დაბადების
დღეზე გადაწყვეტს სხვენში აძრომას. იქ კი მას
„გადასახლებული“ რობოტი დახვდება, რომელიც
ბავშვის თვალელებში ისევ მამის ერთგვარ განსხეუ-
ლებას წარმოადგენს. და კვლავ ღია რჩება კითხ-
ვა, თუ რამდენად უფლებამოსილი ვართ, მოვახ-
დინოთ ადამიანების სიმულაცია და რა შედეგები
შეიძლება მოჰყვეს ამას.

სერიალ „შავ სარკეში“ გამოკვლეულია თემე-
ბისა და იდეების ძალიან დიდი რაოდენობა. ჰერ-
ჯერობით მეშვიდე სეზონში დადგმულია მომა-
ვალში პოტენციურად შესაძლო რეალობის ბევრი
სიმულაცია, რომელთა უმრავლესობა წარმოად-
გენს „სტრიქონებს შორის რეალობას“, ანუ მომავ-
ლისა და აწმყოს ნაზავს, რომლის ფარგლებშიც
ვხედავთ ჩვენი ეპოქის „მძინარე ურჩხულებს“. ერთადერთი სერიალი, რომელიც ფორმატისა და
თემების მხრივ ახლოსაა „შავ სარკესთან“, არის
ანიმაციური სერიალი „სიყვარული, სიკვდილი და
რობოტები“ (2019 -). მასში დახატულია მომავლის
წარმოსახვითი სამყაროები, რაც სრულიად გან-
სხვავებულ ეფექტს იწვევს. „შავ სარკეში“ მომა-
ვალი მთლიანადაა აგებული ციფრულ მოდელებზე,
რაც სულაც არ არის აუცილებელი, რომ მართლაც
მოხდეს. მომავალ თაობებში ვხედავთ ტენდენ-
ციებს, რომლებიც ორ უკიდურესობას მოიცავენ:
საყოველთაო დიგიტალიზაციის ან მისი სრულად
უარყოფის მოდელი. საით გადაიხრება სასწორი?
იპოვის თუ არა კაცობრიობა რაიმე შუალედურს
ბალანსის მისაღწევად? ამას მომავალი გვიჩვენ-
ებს. ახალგაზრდები, რომლებიც ემიჯნებიან თანა-
მედროვე სამყაროს და საცხოვრებლად გადადი-
ან იზოლირებულ ადგილებში, რითაც უარყოფენ
არა მხოლოდ ტექნოლოგიებს, არამედ მათთვის
ჩვეულ ცხოვრების წესს, ცდილობენ, გაეცნენ
„სისტემას“. ისინი გაურბიან საზოგადოებრივ კონ-
ტროლს და ზეწოლას, ცხოვრების გიჟურ რიტმს,
როცა ადამიანი გალიაში გამოიმწყვდეულ და ბორ-
ბალში უთავბოლოდ მორბენალ ზაზუნას ემსგავ-
სება, როცა ერთადერთ გამოსავლად სიკვდილი
გვევლინება. ეს ალევგორია პირდაპირაა ნაჩვენე-
ბი „შავ სარკეში“, კერძოდ პირველი სეზონის მე-
ორე სერიაში დახატულ დისტოპიურ რეალობაში.
სერიაში, „15 მილიონი დამსახურება“ ადამიანებს
მთელი დღე უწევთ ბორბლის ტრიალი ენერგი-

ის გამოსამუშავებლად, რისთვისაც აჯილდოებენ შესაბამისი სახსრებით. ადამიანების პირდაპირი დამოკიდებულება ტექნოლოგიებზე და სრულიად არაადამიანური ურთიერთობები ზენიტს აღწევს ისეთ ეპიზოდებში, როგორიცაა, მაგალითად, მეშვიდე სეზონის პირველი სერია სახელწოდებით, „უბრალო ხალხი“, რომელშიც ისინი განიხილავენ შედეგებს, რომლებიც შეიძლება მოჰყვეს ჯანდაცვის სისტემაში იმჟამად პოპულარული სააბონენტო გადახდის მოდელის დანერგვას.

მასების მიერთება ყოველთვის გადასახადებზე არის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი დამოკიდებულება დღევანდელ საზოგადოებაში. ზოგი მას „თანამედროვე მონობასაც“ კი უწოდებს. მაგრამ დამოკიდებულება ორი მიმართულებით მუშაობს: კომპანიები იწვევენ დამოკიდებულებას, „შეჩვევას“ მომხმარებლებში, რომლებიც, თავის მხრივ, შეუფერხებელ მომსახურებას ითხოვენ. მაგრამ რა მოხდება, თუკი ასეთ ციფრულ მომსახურებაზე ადამიანის სიცოცხლე დამოკიდებულია? რა მოხდება, თუ მას არ აქვს მომსახურების საფასურის გადახდის უნარი, ან კომპანია გადაწყვეტს, შეცვალოს გადახდის პირობები: მაგალითად, გაზრდის ტარიფს ან დაამატებს რეკლამას ხელშეკრულების პირობებში? შეიძლება თუ არა პიროვნება იქცეს „მოსიარულე რეკლამად“ და მოექცეს კომპანიის სრული კონტროლის ქვეშ, რომელსაც ნებისმიერ მომენტში შეუძლია მომსახურების

შეწყვეტა ან შეცვლა, რითაც ადამიანს ნახევრად არსებობის პირობებში ჩააგდებს? მაგალითად, შანტაჟის გზით მოითხოვს მეტის გადახდას... ანუ, მიმართავს თანამედროვე მედიცინაში კარგად ცნობილ კორპორატიულ მეთოდს, რომლითაც ხდება შემოსავლებისა და მოგების გაზრდა. სად გადის ზღვარი? და ვის შეუძლია ტექნოლოგიებზე კონტროლის გარანტირება? ნუთუ, ჯანმრთელობა და სიცოცხლე მართლაც იქცევა მომსახურების და პროდუქციის კიდეც ერთ სახედ, მხოლოდ შეძლებულთათვის ხელმისაწვდომ პრივილეგიად?

განხილულ სერიას არ აქვს ბედნიერი დასასრული: აქ ადამიანის არჩევანი დაყვანილია ცხოვრებაზე ხელის აღების დონეზე, როგორც ყველაფრის დასრულების ერთადერთ გზაზე. ამ სერიალში ფინალების უმრავლესობა ტრაგიკულია ან, სულ მცირე, ნეგატიური, და იგი მომავალს არც თუ ისე ხალისიან ფერებში ხატავს. დიდი ალბათობით, სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ აუდიტორიის დიდი ნაწილი უარყოფითადაა განწყობილი სერიალის მიმართ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ადამიანებს, როგორც წესი, უნდათ გაქცევა რეალობისგან, რა მიზნითაც ისინი უყურებენ გადაცემებს სხვადასხვა პლატფორმაზე ნაცვლად იმისა, რომ თვალი გაუსწორონ თავიანთ გამოსახულებებს და პასუხი გასცენ რთულ შეკითხვებს მომავალთან დაკავშირებით.

REFERENCES

- AHMED, Shaheen. “Bandersnatch: The Meta-Narrative of Our Contemporary Times.” Medium. Accessed April 1, 2025. <https://medium.com/@shaheenahmed/bandersnatch-the-meta-narrative-of-our-contemporary-times-6364a73eb60f>.
- ASTRUKOV, Iosif. Stage and Screen: New Multimedia Performances. Sofia, 2018.
- FORMAN, Miloš. Turnaround: A Memoir. New York, 1993.
- FROMM, Erich. The Art of Loving. New York: Harper & Row, 1956.
- Interview of Erich Fromm from the 1950s. YouTube video. Accessed September 25, 2025. <https://youtu.be/9VINS8McvMI>.
- “AI Goes Nuclear.” Bulletin of the Atomic Scientists. Accessed March 22, 2025. <https://thebulletin.org/2024/12/ai-goes-nuclear/>.
- “Black Mirror Title Meaning.” Highsnobiety. Accessed March 24, 2025. <https://www.highsnobiety.com/p/black-mirror-title-meaning/>.
- “Cancel Culture.” Encyclopaedia Britannica. Accessed April 16, 2025. <https://www.britannica.com/procon/cancel-culture-debate>.

ფილმოგრაფია:

- Black Mirror. Created by Charlie Brooker. Channel 4 / Netflix, 2011–.
- “Arkangel.” Black Mirror. Season 4, Episode 2. Netflix, 2017.
- “Joan Is Awful.” Black Mirror. Season 6, Episode 1. Netflix, 2023.
- “San Junipero.” Black Mirror. Season 3, Episode 4. Netflix, 2016.
- “The Entire History of You.” Black Mirror. Season 1, Episode 3. Channel 4, 2011.
- “White Christmas.” Black Mirror. Special Episode. Channel 4, 2014.
- Love, Death & Robots. Netflix, 2019–.
- The Mandalorian. Disney+, 2019–.

BEYOND THE MIRROR—IS THE FUTURE BLACK?

Iosif Astrukov

Keywords: black mirror, series, platforms, society, digital reality

A few months ago another season of the “Black Mirror” serial premiered—season seven. “Black Mirror” (2011–) is radically different from most series streamed online today. Its main differences are both in format and content. Unlike most other series, every “Black Mirror” episode is by itself—it is an independent movie—different story, actors, theme. The unconnected episodes do not aim to create a bigger story across the series. Dramaturgically the genre is sci-fi, but the themes they reveal are rather more something I could call reality in-between, another radically different and characterizing distinctiveness of the production. They create a reality that looks mostly as ours today, slightly more advanced and often take a certain technology, like neural interface (chip) inside our brain, experiments already happening, that could for example save and stream our own perceptions (sight and sound). This seemingly small and not very impressive technology later in the episode turns out to be a ‘game changer’ in our relationships, social interactions and world as we know it. Many episodes are plotted in similar model: some small technology that can turn our world upside down. That reality in-between the authors create, both now and one step ahead, has the ability to post many questions: where we are now, where we are heading as society, what are the technology boundaries, what we as human beings are and should react, and many more. The title “Black Mirror” is a metaphor for a digital screen turned out and a dark mirror created in this way, reflecting our own faces, while staring at it. And the biggest question is what we see already?

